ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №285896

ნომერი: AR165828

თარიღი : 18.07.2012

გაცემის თარიღი : 30.07.2012

გაცნობის თარიღი : 30.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დიდუბე , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი რევაზიშვილი პ/ნ 01017039437
- თბილისი ს.ჭიაურელის ქ. N 14 ბ. 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მასზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კარადის განთავსება სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, ხოლო რაც შეეხება კონდენციონერების მოწყობას მათი განთავსება შესაძლებელია არსებული აივნების სივრცეში, ისე, რომ მათი ხილვადობა ნაკლებად თვალსაჩინო იყოს. რაც უკვე გეცნობათ სამსახურის მიერ №280647 გადაწყვეტილებით.

აგრეთვე საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ფართის მომავალი მესაკუთრეები არიან თეა სიმონსი და რეჯინალდ ალექსანდრე სიმონსი, ასევე რეჯინალდ ალექსანდრე სიმონსი მინდობილობას აძლევს თეა სიმონს, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ გიორგი რევაზიშვილმა. საჭიროა "მინდობილობა/რწმუნებულების ველშო" დამატებით აიტვირთოს მომავალი ფართის მესაკუთრეების მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ან ახალი განცხადებით მოგვმართოს ფართის ერთ-ერთმა მფლობელმა და მეორე მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად ან წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგინოს მეორე მესაკუთრის მიერ გაცემული ხარისხიანი მინდობილობა (წარმოდგენილი მინდობილობა არაკითხვადია და ვერ დგინდება მინდობილობის შინაარსი). აქვე გაითვალისწინეთ, რომ მინდობილობა გაცემული უნდა იყოს მერიის არქიტექტურის სამსახურში საბუთების მიღება-ჩაბარებაზე.
2. წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.